


10. 200

საქართველო

„**ლონ**“

სხელი სხასია



საბჭოთა

თბილისი





აბოძალა

„ლონ“

ახალი ანბანი

შენს ვალსა აასრულებდე  
ერთგულად, რაც-კი მოგანდონ!  
ნუ შეგაშინებს სიკვდილი...  
მაგრამ ისწავლე ვერ ეს: „ღ“.  
ბაკა

36741

წიგნი IV

წვილი ამბები



თბილისი



Дозв. цензурою Тифлисъ, 17 Января 1892 г.

სტამბა წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა

---

Тип. Груз. Издат. Товарищ.




## მგელი და თხა



მგელი ავად გამხდარი-  
ყო, მორჩენის იმედი არა-  
ვისა ჰქონდა. შეიტყო ეს  
თხამ და მეტის სიხარულით  
ცას დაეწია. წავიდა იმის ბუნაგისაკენ და შო-  
რი ახლოდგან სეირს უყურებდა. მგელი რო-  
მეტის სიმწარით კვნესას და კრუსუნს უმა-  
ტებდა, თხა სიცილით იფხრიწებოდა. მოჰ-  
კრა ყური მომაკვდავმა მგელმა თხის სიცილს  
და გასძახა: „მე ვკვდები და შენ იცინი,  
ნეტავი, რას გეცინება!

იცინე, თხო, იცინე,  
ჰნახავ, როგორ მოგიხდება!  
ერთი ბერი მგელი ვკვდები,  
სხვა ლეკვები ბერი მრჩება:  
მგელი მგლობას არ მოიშლის  
და თხა ისევ თხა იქმნება!..“

## გლახა და არწივი



ლახას ცოტაოდენი ხორცი ეშოვნა. შამფურზე აეგო, ცეცხლზე დაედო და თითონ შეშისთვის გაბრუნებულყო. ამ დროს, თურმე, ჰაერში მშიერი არწივი დატრიალებდა. შეამჩნია

არწივმა მწვადი, დაეშვა ძირს და წაიღო. მოვიდა გლახა, მწვადი იქ აღარ იყო და ტირილით წამოვიდა. ნახა გზაში, ერთ მაღალ მუხას კენწეროში ცეცხლი გასჩენია და ზედ

არწივები დასტრიალებენ. დადგა და ყურება დაუწყო.



ყო. ენახოთ, პატარა ხანს უკან შელანძული და წატრუსული არწივის ბარტყები



ჩამოცვიდნენ; მოჰყვა ამას მერე ნახევ-  
რად გადამწვარი ბუდე და ერთი რკინის  
შამფური. მივიდა გლაზა ახლოს, იცნო  
თავისი შამფური და მხოლოდ მაშინ-ღა  
მიჰხვდა, რომ იმისი მწვადი არწივს აე-  
ტაცნა, მაგრამ მწვადს, თურმე, თან ცეცხ-  
ლი აჰყოლოდა.




## კოლო და ბუში



ოლომ უთხრა ბუშსა: „ხო  
ჰხედავ, ჩემო გვარის კა-  
ცო! ობობა ჩვენი ორივეს  
მტერია, ორივე იმის ქსელში  
ვებმით და ცალკ-ცალკე ვბზუით. მოდი,  
დღეის იქით ხელი ხელ ჩავკიდოთ და  
ისე ვიფრინოთ. მაშინ ისეთი სიმჩატე  
აღარ გვექმნება, დავმძიმდებით და სა-  
ცა-კი მტრის ბადე დაგვხვდეს, ვეცნეთ  
და უსათუოდ გავგლეჯავთო.“ მოეწო-  
ნა ბუშს ეს აზრი და დაძმობილდნენ. მო-  
ახტა მაშინათვე კოლო ბუშს ზურგზე  
და დაიწყეს ფრენა. ჯერ ბევრი გზა  
არ გაევლოთ, კოლომ ბუშს კბენა და სი-  
სხლის ამოწოვა დაუწყო. ითმინა ბუშმა,  
ითმინა და, მოთმინება რო დაეკარგა,  
შესძახა კოლოს:—არა, ჩემო კარგო! ან



კბენაზე აიღე ხელი და ან სრულებით  
 მომწყდი თავიდგანაო.— „რაო, რაო! რას  
 ამბობ, ჩემო მეგობარო?“ შეჰქმნა კოლომ  
 წივილი. „ვერა ჰხედავ, ეგე შენ თვალწინ-  
 ვე რა ეშ-  
 მაკურ  
 ქსელს  
 გვიბამს  
 ობო-  
 ბაო?!“ —  
 მაგას-კი  
 ეხედავ ჩე-  
 თვითონაც ამომხუთავ სულსაო.



მო კეთი-  
 ლის მყო-  
 ფელო,  
 მაგრამ სა-  
 ნამ მე იქა-  
 მდე მი-  
 ვალწევდე,  
 ხო შენ



## ცყუილი ქადილი



რომა დედაკაცმა ერთი ღარიბი მწყემსი დაისიძევა. ერთხელ ეს მწყემსი თავის მოყვრებთან სტუმრად მივიდა და სახლში რო შედიოდა, ჯიბიდან ქისა დაჰვარდა. სიღედრმა თვალი მოჰკრა, დასწვდა, გაშინჯა და ჯიბეში შეინახა. პატარა ხანს უკან სიძემ ჯიბეს ხელი მოისვა, ნახა — ქისა დაუკარგავს, და ამოოხვრით დაიჩივლა:

„ვაჰ, შენ, ჩემო ქისავ,  
ფერად-ნარინჯისავ!  
შიგ ნადებო საქონელო,  
ფასო ხმელეთისავ!“

სიღედრმა რო ეს გაიგონა, გაიკრა ჯიბეს ხელი, დაანახვა შორიდგან ქისა და სიცილით უპასუხა:




„სიძევ, შენი ქისა—  
ბუშტი ვაციკისა!  
შიგ ნადები საქონელი—  
კენიწი მარილისა!“



## მ ა ც დ უ რ ი

ახა მელამ, მონადირეს  
მახეზე ყველი აუგია.  
მოირბინა მგელთან და  
უთხრა: „მე ერთ ადგილას  
ყველი მაქვს შენახული, გინდა გაჭა-  
მოო?“ მგელს ძალიანა ჰშიოდა, დაუჯერა  
და წაჰყვა. მიიყვანა მელამ მახესთან და  
ყველი დაანახვა. მგელი გაფაციცებული  
ესა ყველს, მაგრამ ყველი განზე გადუ-  
ვარდა და კისერზე მახე გადაეცვა. მოურ-

ბინა მელამ, დაავლო ყველს პირი და შე-  
ჭამა. მგელმა თვალი შეასწრო და უთხრა:



„რა ჰქმენ, მელავ, რად შესჭამე? დღეს  
ხო პარასკევია, ღმერთი გაგიწყრებაო!“ —  
ღმერთი შენ გაგიწყრა, რო მახე კისერზე  
გადაგეცვა, თორე მე რა მიჭირსო — უზა-  
სუხა მელამ. „ვაიმე, ვაი! რა ძალიან შე-  
მაწუხა ამ ოხერმა მახემო,“ დაიჩივლა  
მგელმა. — ჯერ კიდე არა გიშავს რა, ძმო-  
ბილო! ვაი მაშინა ნახე, როცა ყველის  
პატრონი თავს წამოგადგებაო, — მიუგო  
დაცინვით მელამ და გაანება მგელს თავი.





## მაბეჭლარი




ომი ავად გახდა. ყველა ნადირი სანახავად მოდიოდა. მელას ცოტა მოუგვიანდა. დათვი რო მოვიდა და ლომი ინახულა, მელა დააბეჭლა. მოვიდა ბოლოს მელაც. მეგობრებმა უთხრეს: დათვმა დაგაბეჭლაო. მელამ პასუხი დაამზადა და სანახავად ისე შევიდა. ლომმა რო დაინახა, გაუწყრა: „სად ვგდე, შე საძაგელო, რატო აქამდე არა მნახეო?“ მელამ უპასუხა:—ნუ მიწყრები, კეთილო ხელმწიფე! თქვენს მეფობასა ვფიცავ, რაწამს თქვენი ავადმყოფობის ხმა შემომესმა, ჯარასავეით დავტრი-ალდი: აქათ ვეცი, იქით ვეცი და, რაც საუკეთესო მკურნალები მეგულებოდა, სულ მოვიარეო. — „მერე, რა ნუგეში მომიტა-

ნე, ჩემო მელოა?“ ჰკითხა ლომმა.—წამ-  
 ლად ყველამ ეს მასწავლეს: დათვს ტყავი  
 გააძვრით, იმის თბილ-თბილ ტყავში ავად-  
 მყოფი ჩააწვინეთ, შიგ ოფლი აღინეთ და  
 კარგა შეიქმნებაო.—ბრძანა ლომმა:  
 „დათვს ტყავი გაჰხადეთო.“ დაიჭირეს



დათვი, ტყავსა ჰხდიდნენ და ის კი ღრია-  
 ლებდა: „ახია ჩემზე! ასე მოუვა ხელმწი-  
 ფესთან მამეზღარსაო“.





## მეფე და მკერვალი

რთ მეფეს ერთი ძვირფასი ოქროს ქსოვილი ჰქონდა. დაიბარა ერთი მკერვალი და უბრძანა: „ამ ქსოვილისა ერთი ხელი ტანისამოსი უნდა შემიკერო.“ მკერვალმა ზომა აართვა და მოახსენა: „სრულად არ გამოვა, დააკლდებოდ.“ დაიბარა მეფემ მეორე მკერვალი და ახლა იმას უბრძანა. გასინჯა იმანაც და მოახსენა—გამოვაო. წაიღო მკერვალმა ოქროს ქსოვილი, შეუკერა ტანისამოსი და მოართვა. გავიდა რამდენიმე ხანი; მეფე სასეიროდ გამობრძანდა. ნახა ერთგან: ყმაწვილები თამაშობენ და ერთ მათგანს სწორედ იმისი ოქროს ქსოვილის ტანისამოსი აცვია. დაუძახა ხელმწიფემ ამ ყმაწვილს და ჰკითხა:

„ვისი შვილი ხარო?“ — ამა და ამ მკერ-  
ვლისაო, — უპასუხა ყმაწვილმა. ხელმწიფე  
მიჰხვდა, რომ ეს, ალბად, ჩემი ტანისამო-  
სის გადანარჩენისა შეუკერიაო. დაბრუნდა  
თუ არა შინ, დაიბარა თავისთან პირველი  
მკერვალი და ჰკითხა: „შენ რად მითხარ  
— არ გამოვაო, როდესაც მეორე მკერვალს  
ერთი ხელი ტანისამოსი თავისი შვი-  
ლისათვისაც გამოუყვანიაო.“ — ეგ იმის-  
თვის, დიდებულო მეფევე, რომ იმას პატა-  
რა შვილი ჰყოლია და ჩემი-კი უფრო  
მოზრდილი გახლავთო, — მოახსენა მკერ-  
ვალმა.





## მელთა და მგელი



ელამ ერთი დაწერილი ქალაქის ნაგლეჯი იპოვა. მოვიდა მგელთან და უთხრა: „იმდენი ვიჭირნახულე, ბატონს კაცები შევუყენე და, როგორც იქმნა, ეს ოქმი ავიღე; ამისის ძალით, სადაც სოფელში მივალ, თითო ცხვარი უნდა მომცენ და ყოველმა კომლმა თითო ქათამი; არც კაცი, არც ძაღლი, ჩემი ხმის გამცემი არ არისო. ეხლაც, აგერა, ამ სოფელში ვიყავი და ძალიანაც გამოვძელ, გინდა შენც წაგიყვანო?“ მგელს ძლიერა ჰშიოდა და სიხარულით დასთანხმდა. მიდის მელა, მისდევს მგელი. სოფლის პირში რო მივიდნენ, მელა ერთ სერზე ავიდა მგელი სოფელში გაისტუმრა: „წადი, შენ შენი კერძი აიღე,

მე აქ დაგიცდი და, ვინც არ მოგცემს,  
 ამ ოქმს აქედგან დავანახებო.“ შევიდა თუ



არა მგელი სოფელში, მთელი იმ სოფლის  
 ძალლი და კაცი გარს შემოეხვია და მოკ-  
 ვლას უპირებდნენ. მგელს საქმე რო გაუ-  
 ჭირდა, მელას გამოსძახა:—მოიტა რაღა,  
 მელავ, ეგ ოქმი, თორე ამ ხალხს არა  
 სჯერა, რო ბატონის ბრძანებითა ვარ  
 მოსულიო?—მელამ ერთი გულიანად გა-  
 დაიხარხარა და პასუხად ასე გასძახა: „ძალლი  
 და კაცი მრავალი შემოგხვევია, მაგრამ  
 მაგათში წიგნის კითხვა არაეინ იცის და  
 აბა რილასთვის მოვიტანოო“!





## მშობლის ჯივარი

როტი კაცი ქურდობაზე დაიჭირეს. სრული ორი კვირა სტანჯეს, მაგრამ მაინც ვერ გასტეხეს. მოიყვანეს მერე იმისი შვილი და, დაჰკრეს თუ არა ერთი ჯოხი, მამამ საზარლად შეჰკივლა და აღიარა კიდევ თავისი დანაშაული. ჰკითხეს, — ორი კვირა გტანჯეთ და რატომ აქამდე არ გაამჟღავნებო? — იმან უპასუხათ: „შვილი ღვიძლია მშობლისა; აქამდე ტანზე მცემდით, არა მტკიოდა და ეხლა რო ღვიძლში დამკარით, გავმწარდი და გავტყდიო.“



## ხუმარა მეთევზე

ეთევზე მთელი დღე ბადეს ესროდა, მაგრამ ერთი თევზიც ვერ დაიჭირა. მერე ღმერთს შეეხვეწა: „ღმერთო! ოღონდ ეხლა ხელ-ცარიელს ნუ გამისტუმრებ, ოღონდ ერთი თევზი მაინც დამაჭერინე და ხვალ წირვაზე შაუ-




რიან კელაპტარს აგინთებო“. ესროლა კიდევ ბადე, ლოცვას რო მორჩა, და, ვნახოთ, ერთი კაი მოზრდილი თევზი-კი გამოჰყვა იმის ბადეს. გაუხარდა მებადურს,



დასტაცა თევზს ხელი და იძახის: „ჰი, ღმერთო, ჰი! მოგატყუე თუ არა, მოგატყუე თუ არაო!“ თანაც შეისვრის ამ თევზს მალლა და შეუშვერს ხელსა, — შეაგდებს და დაიჭერს, შეაგდებს და დაიჭერს. ამ სიხარულში რო იყო, გაუსხლტა ხელიდგან ეს ლორწოიანი თევზი და წყალშივე ჩაუვარდა. დარჩა სახტად მებადური. გულ-ჩაფუფქულმა რო ველარა მოახერხა-რა, მიუბრუნდა და ისევ ღმერთს უსაყვედურა: „შე, დალოცვილო, გეხუმრებოდი, როგორ ვერ გაიგე?! ჩვენებიანთ დემეტრემაც კი იცის ჩემი ხუმრობა და, შენ რა დაგემართაო!“





ს რ უ

რო სხვაგან იყო სტუმრად მიწვეული. რო მილოდა, თავის მეგობარი ასე დაარიგა: „როცა სიცრუე შემამჩნიო, თუ ღმერთი გრწამს, კალთას დამწი ხოლმეო.“ სტუმრები რო შეიკრიბნენ, სხვათა შორის ნადირობაზე ჩამოაგდეს ლაპარაკი. ცრუმ ვერ მოითმინა და ლაპარაკში ჩაერია: „იმ დღეს ერთი მელა მოვკალ, რატო სამი არშინი კუდი არა ჰქონდაო.“ მეგობარმა ჩუმად კალთას ხელი დასწია. „სამი არა-და, თითქმის ორი არშინი-კი ექნებოდაო“. მეგობარმა კიდევ კალთას დასწია. „ორი თუ არა, არშინ ნახევარი ნამდვილად გამოვიდოდაო“. მეგობარმა კიდევ კალთას დასწია. „ვთქვათ, ასე — ერთ არშინს აღარა



აკლდებოდა-რაო“, გაასწორა კიდევ ცრუმ. ამ დროს მეგობარს ფიქრი სხვაგანა ჰქონდა წასული და აკი უსაბედად კალთას კიდე დასწია. ცრუს ჯავრი მოუვიდა, წამოუხტა ფეხზე და დაუჭყივლა თავის მეგობარს: „რას გადამეკიდე, კაცო! ხო არ გინდა მათქმევინო—მელა უკუდო იყოო!“

## უგუნური ამპარტავენება



ერთი ხელმწიფე მეტად გაძლიერდა. დაიპყრო სხვა სახელმწიფოები და დაიმორჩილა მეფეები. ერთხელ ამ გაძლიერებულმა მეფემ გასეირება მოინდომა და მეტის ამპარტავენებით თავის საჯდომ ეტლში ცხენების მაგიერ დამორჩილებული მეფენი შეაბმენა. ერთი, უღელში შებმული მეფე, უკან-უკან იც-

ქირებოდა და, ეტლის თვალს რო შეჰხედა,  
სიცილი მოუვიდა. გამარჯვებულ მეფეს

გაუკვირდა და სიცილის  
მიზეზი ჰკითხა. იმან უპა-  
სუხა: „შენი ეტლის  
თვალს ვუყურებდი, იმის



ტრიალში ჩენი ამბავი ამოვიკითხე და  
იმაზე გამეცინაო“. — როგორაო? — ჰკითხა  
უფრო გაკვირვებით გაძლიერებულმა ხელ-  
მწიფემ. „ეტლი რო მიდის, ეტლის თვა-  
ლი ტრიალებს და ამ ტრიალში ხან ერთი  
სოლი ამოტრიალდება ზევით, ხან მეორე;  
ხან ერთი სოლი მოექცევა ქვეშ, ხან მეო-  
რეო,“ უპასუხა უღელში შებმულმა მეფემ.



გაძლიერებული ხელმწიფე გონს მოვიდა  
ამ სიტყვებზე. მეფეები იმავ წამს გამოა-  
შვებინა ეტლიდგან და ამის შემდეგ ღირ-  
სეულად ეპყრობოდა.



## ორი ქურდი

ორი ქურდი დაძმობი-  
ლდა. შეამჩნიეს ერთგან  
ერთი კაი ძროხა და წა-  
ვიდნენ მოსაპარავად. კარი-  
დგან ბოსელში შესვლა ძნელი იყო და ისევ  
ბანიდგან ჩაპარვა ამჯობინეს. ერთმა უთ-  
ხრა მეორეს: „მოდი, შენ ტომარაში ჩაჯექ, მე  
თოკით ჩაგიშვებ; რო ჩახვიდე, დაკალ ძრო-  
ხა, ჯერ ხორცი ამომაწოდე—მერე შენც  
ტომარაში ჩაჯექ და ამოგიყვანო“. ამხა-  
ნავი დასთანხმდა და, ბოსელში რო ჩაეშო,  
სთქვა: „მოდი-და, ერთი გამოვცდი იმ ჩემ  
ამხანავს, სანდობია თუ არაო“. ცოტა  
ხანს ესე დაფიქრებული იყო ბოსელში,

ჩაჯდა მერე ისევ ტომარაში, მოიბა თოკი და ანიშნა ამხანაგს — ასწიო. ზემოთა ქურდს ძროხის ხორცი ეგონა, გაუხარდა: ამოიტანა თუ არა მალლა, მოიგდო ზურგზე და გასწია. მიდის გზაში და თან თავის გულში ნიშნს უგებს თავის ამხანაგს: „ჰი! ეგდე შენ მანდ, ბოსელში და მელოდეთ!“ კარგა გზა რო გაიარა, ენახოთ, ძაღლები დაეხვივნენ. ტომარაში მჯდომ

კაცს შეეშინდა და დაიძახა: „ცოტა მალლა ამწი, კა-



ცო, ძაღლებმა არ დამგლიჯონო!“ პირველა ქურდს ელდა ეცა ამ ხმის გაგონებაზე, გაუშვა ხელი ტომარას და მოჰკურცხლა.





## ნუ იქმ ავსა და ავისაყ ნუ გეშინიან

ყო ერთი მგოსანი. რო-  
ცა დაუკრავდა, ზედაც  
იმისთანა სიმღერას დას-  
ძახებდა, რომ რასაც გულში  
გაიფიქრებდი, ის სიმღერით გეტყოდა.  
მთელ იმ სახელმწიფოში მგოსანს გულთმის-  
ნობის ხმა დაუვარდა. შეიტყო ეს იქაურ-  
მა ხელმწიფემაც, მაგრამ არა სჯეროდა.  
ბოლოს თავისთან დაიბარა, უნდა დარ-  
წმუნებულიყო. გაათხრევინა შიგ შუა ეზო-  
ში ერთი დიდი ორმო და ზედ ხალიჩები  
დააფენინა. როდესაც მგოსანი მოვიდა,  
უთხრეს: „აქვე დაიწყე სიმღერა და ეზო  
ისე გადაიარე, მეფეს იამებო“. ეგო-  
ნათ, სიმღერაში გართული ეშმაკობას ვერ  
მიგვიხვდება და გულთმისანი კაცი ორმო-  
ში ჩავარდებო. მომართა მგოსანმაც თავისი  
დასაკრავი და დაიწყო:

„აღლეგრძელოს ღმერთმა მეფე!  
ეზო კარგა დაუგვია,  
ხალიჩები დაუგვია  
და ქვეშ რო ორმო გაუთხრია,  
მგოსანს კიდევ გაუგვია.“

მეფეს ისე მოეწონა მგოსნის ესეთი გულთ-  
მისნობა, რო სიამოვნებით აღარა ახსოვდა-  
რა: გაიქცა, უნდოდა მგო-  
სანს გადაჰხვევოდა და თავი-



სავე მოთხრილ ორმოში ყლაპა მოსძვრა.



## კაცი და ლომი



ახა ლომმა, რაც-კი  
რამ ცხოველი იყო,  
შეშინებული სულ აქეთ-  
იქით გარბი-გამორბოდნენ.

იკითხა: „ნეტა, ვის დაუფრთხია ეს ამო-  
ღონა ტყის ნადირიო?“ — კაცი მოგვდევს,  
გამიშვი, ჩქარა წავიდეთ, — შესძახა მგელმა  
პასუხად და გასწია ძუნძულით, რაც ძალი  
და ღონე ჰქონდა. ენახოთ, გამოჩნდა ამ  
ღროს კაციც. მივიდა ლომი იმასთან და  
ჰკითხა: „შენა ხარ ის კაცი, რომ ვის ამო-  
ღონა ნადირი ესე შეგიშინებიაო?“ — მე  
ვარო, — უპასუხა კაცმა. „მაშ თუ შენა  
ხარ, მოდი, მე და შენ უნდა ვიბრძოლო-  
თო...“ — საომარი იარაღი აქ არა მაქვს,  
თუ დამიცდი და არ გამეპარები, ეხლავე  
მოვარბეინებო. — „კარგი, დაგიცდიო“,

უთხრა ლომმა.—მე ლომი მკვებარა გამიგონია და, ვაი თუ გამეპარო, მოდი, აქ ხეზე მიგაბამ, რო გული დარწმუნებული მქონდესო.—„კარგი, მაგისიკ ბატონი ბრძანდებოდეთ“, და ლომი ხეზედ მიებმეი-



ნა. დასკრა მაშინ კაცმა კაი მაგარ-მაგარი სახრეები და, ერთი თუ ორი, ერთი თუ



ორი, მიაყოლა ამ ლომს. გამწარდა ლომი, გვერდები რ.ო აუჭრელდა, და იძახდა: „ესე მოუვა ჩემისთანა უმეცარსაო“.

როგორიყ მოხვალ, სვინაო, ისეთი წახვალ  
შინაო!



რთმა გლევმა ქალაქე-  
ლი კაცი დაინათლია, ვა,  
ფიქრობდა: „ვინ იცის,  
სიკვდილ-სიცოცხლეა, გა-  
მომადგებაო.“ მაგრამ, რამდენიც გლევნი  
ქალაქში ჩამოვიდოდა, ნათლია თვალს  
არიდებდა და მიზნებს სულ ამას ეუბნებო-  
და: „უკაცრავად, შენი ჭირიმე, ვერ გი-  
ცანიო“. გლევს ძალიან უკვირდა ღმრისი  
ქცევა და ვერა მოეხერხებინა-რა. იფიქრა,

იფიქრა და ბოლოს ასე მოიქცა. გააკეთა ერთი კაი ძღვენი; ჩავიდა ნათლიასთან, მიაჩრთა და მოიკითხა. ნათლიას ძლიერ უამა, სავსე-სავსე ხურჯინები რო დაინახა, და დიდის ყოფით გაუმასპინძლდა. ვახშამზე ნათლიამამ უსაყვედურა: „რა არის, ნათლი! სოფლად მუდამ მოსდინხარ და სულ რაღაც წვრილ-წვრილი ჭურჭელი მოგაქვს ჭაშნიკისათვის. წელს მოსაველს კაი პირი უჩანს და აბა, თუ ხათრი გაქვს, წელს მაინც ცოტა მოზრდილი ჭურჭელი მოიტანეო“. ნათლიას გუნებაში გაუხარდა და უთხრა: „ბატონი ბრძანდები, ჩემო ნათლიამამ! მაგისტვის როგორ გაწყენინებ, თუნდ სულ რუმბებს წამოვიღებო“. დადგართელის დრო. დაამზადა ქალაქელმა ტიკები, გადაჰკიდა ვირებს და გაირეკა. ნათლიამამ რო შეიტყო თავისი ნათლიის მისვლა, ისიც დიდის ამბით დაუხვდა: ვახშამი ჩინე ბული გაუმართა და ვირები საძოვრად დაუ-



კრებავ ვენახში შეარეკინა. ვახშამს უკან ნათლიმამამ უთხრა: „მოდი, ნათლი, ერთი ვენახში ჩავიაროთ! ეს რამდენიმე დღეა მშველები შემოეჩვივნენ; იქმნება ამაღამაც იქ იყვნენ და დილისთვის მშველის სამწვადეები ვიშოვოთო“. ნათლიას ამის ხსენებაზე პირში ნერწყვი მოუვიდა და ნათლიმამას მიაშურა: „ადე რალა, წავიდეთ! მაგ საქმეს ყურება არ გამოადგება; ოღონდ შენ იქ მშველი მაჩვენე და შიგ შუბლში ვკრავ ტყვიასო“. გაუძღვა ნათლიმამა და ვენახში ჩაიყვანა. იქ იმ დროს ვირმა გაათაჩუნა. ნათლიმამამ დაუძახა: „ეგე, ნათლი, მშველი, ესროლე ჩქარა, არ წაგივიდესო!“ ნათლიამაც სდო შუბლში ტყვია და გააგორა. მიჰყვა მერე წათამამებული და მშველის გონებაზედ არც ერთი ვირი აღარ გაუშვა იმ ვენახში. ესენი ხო აქ, ადგილს არის, წავიდეთ ეხლა შინ დასაძინებლად და დილაზე ადრე ავზიდოთო, უთხრა ნათლიმამამ ნათლიას

და წავიდნენ. მეორე დღეს, დილა ადრიან ჩავიდნენ ისევ ვენახში, უნდა მშველები აეზიდათ. შეჰხედა ნათლიამ დახოცილ ვირებს და პირ კატა ეცა.—აკი მშველებიაო, კაცო? ეს ხო ჩემი ვირებიაო, —უთხრა ნათლიამ. „ვირები რად იქმნება, ეგ მშველის პატარა ნუკრებიაო,“ უპასუხა ნათლიმამამ. შეხტა და შემოტრიალდა გაბრაზებული ნათლია; სიცხარით პირში ცოფი მოსდიოდა, მაგრამ ნათლიმამამ დაწყნარებით უპასუხა: „რა ექმნა, ნათლი! ეგ რა ჩემი ბრალია, რომ ქალაქში ნათლიმამას ვერა სცნობდე და სოფელში შენს საკუთარ ვირებსაო“.





ვლ. აღნიაშვილის მიერ  
ხელმძღვანელოები:

- 1) „ან“, წერა-კითხვა . . . . . 10 კ.
- 2) „ბან“, წვრილი ხალხური ლექსები . . . 10 კ.
- 3) „გან“, წვრილი ხალხური ამბები . . . . 10 კ.
- 4) უბის ლექსიკონი . . . . . 30 კ.
- 5) ხალხური ზღაპრები წიგნი I, გამოცემა  
„ქართველთა ამხანაგობისა“ . . . . . 40 კ.
- 6) „Первый шагъ“ въ изученіи гру-  
зинскаго языка, გამოცემა „ცენტრა-  
ლური წიგნის მაღაზიისა“ . . . . . 30 კ.

იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამოვა:

- 1) „ენ“, გასართობი . . . . . 10 კ.